

**მანანა ხვედელიძე. ძველი ეგვიპტის ენციკლოპედია, „ქარჩხაძის გამომცემლობა“, 2014, 603 გვ.**

მესოპოტამიური ცივილიზაციის ცნობილი მკვლევარი, ასირიოლოგი და შუმეროლოგი თორკილდ იაკობსენი (1904-1993), ერთგან წერდა, შუამდინარელს რომ წამოეხედა, არც კი შეწუხდებოდა და არც გაუკვირდებოდა, როცა ათეული წლობით ნაშენებ ზიკურატებს მტვრით დაფარულს და ბორცვებად ქცეულს იხილავდაო. მესოპოტამიაში მოარული თქმა იყო ასეთი: „რა არის ადამიანი? დღენი მისი დათვლილია და ოდენ ქარია მის ხელთა ნამუშავევი.“ ასეთი იყო მისი სულისკვეთება, ბიბლიურის მონათესავე, რომელიც არწმუნებს ადამიანს, რომ მიწაა იგი და მიწად მიიქცევა. ასეთი არ არის ძველი ეგვიპტური ცივილიზაცია, სრულიად საპირისპიროა იგი. მას ადამიანის უკვდავების ძლიერი რწმენა აქვს, მისი ძალისხმევით აგებული პირამიდები დღესაც თითქოს მისი უკვდავების ნიშნად დგანან უსიცოცხლო უდაბნოში. ისინი თითქოს მისი მარადიულად მუნმყოფობის ნიშანია. ის ღიმილით და სიამაყით შეავლებდა თვალს ამ გიგანტურ ნაგებობებს, რომლებიც ადამიანის დაუოკებელ ენერჯიას ასხივებენ და, ამასთან ერთად, საიდუმლოს ინახვენ. ისე გადავიდა ელინური ცივილიზაცია, რომ მისი წარმომადგენლისთვის ეგვიპტური დამწერლობაც კი ბოლომდე იდუმალებით იყო მოცული. მისთვის ეს ჰიეროგლიფები ანუ „წმინდა ნაწერები“ იყო, რომლის შესწავლის სურვილი მათ არასოდეს გაჩენიათ. მხოლოდღა ელინისტურ ხანაში გაიგეს ბერძნებმა, თუ რას ინახავდნენ ეს ნაწერები. ეგვიპტელმა ქურუმმა მანეთონმა თითქმის იმავე წლებში, როცა ალექსანდრიაში ბიბლიური წიგნები ბერძნულად ითარგმნებოდა, ხოლო ბაბილონში „ბაბილონიაკა“ იწერებოდა, დაწერა წიგნი, რომელსაც სახელად „ეგვიპტიაკა“ ეწოდა. ამ დაუვიწყარ ეპოქაზე, როცა სხვადასხვა წარმოშობის ცივილიზაციის გზები თითქოს შეერთდა (პარალელური ხაზების უსასრულობაში შეერთების მსგავსად), ლაპარაკობს ძველი ეგვიპტის ენციკლოპედიის ავტორი მანანა ხვედელიძე, დღესდღეობით ერთადერთი ქართველი ეგვიპტოლოგი. იგი ამ შერწყმის სიმბოლოდ წარმოსახავს ამ ეპოქაში შექმნილ სერაპისის კულტს, რომელშიც ზევსისა და ეგვიპტურ ღვთა-

ებათა ნიშნები და თვისებები უნდა შერწყმულიყო, რაც, ავტორის აზრით, ეგვიპტური და გვიანელინური მოსახლეობის დაახლოებას შეუწყობდა ხელს. მაგრამ ამ სიმბიოსის განხორციელება არ ეწერა, როგორც იგი ნაღვლიანად შენიშნავს: არაბთა შემოჭრამ დაუსვა წერტილი ამ პროცესს. განსაზღვრა იმისა, თუ რა სახის ცივილიზაცია უნდა შექმნილიყო ამ მიწაზე ალექსანდრე დიდის დაპყრობების შემდეგ, მხოლოდ ვარაუდებით თუ არის შესაძლებელი, ის არ გასცილდება ჰიპოთეზების სფეროს. მაგრამ კულტურული კაცობრიობის წინაშეა ნამდვილად თვითმყოფადი ცივილიზაცია თავისი წმინდა სახით, რომელიც მიწამ თუ მიწის ზედაპირმა ჩვენამდე მოიტანა. ჰიეროგლიფების და, უფრო ზოგადად, ფარაონული ცივილიზაციის საიდუმლოთა ამოხსნა მე-19 საუკუნეს ეკუთვნის და დღემდე, როგორც წინამდებარე წიგნის ავტორი გვარწმუნებს, არ წყდება.

საქართველოში დიდია დაინტერესება მსოფლიო ცივილიზაციებით, მათ შორის, ეგვიპტურით და, აი, დღეს, 21-ე საუკუნეში, თუმცა დაგვიანებით, ქართველ მკითხველს ხელში უჭირავს „ძველი ეგვიპტის ენციკლოპედია“, დაწერილი პროფესიონალი ეგვიპტოლოგის მიერ. ენციკლოპედია ხომ, როგორც წესი, შემაჯამებელი ნაშრომია და იგი მოიცავს თაობათა შემეცნებითი ძალისხმევით მოპოვებულ ცოდნას ადამიანის მოღვაწეობის სხვადასხვა სფეროდან. აქ კი ვხედავთ, რომ ეს ტვირთი ერთმა ადამიანმა იღო თავს. „ენციკლოპედია“, როგორც ორგანული სხეული და არა როგორც ანბანზე გაწყობილი ლექსიკონი, ერთიან სისტემაში გაიაზრებს ამ ცოდნებს, რომელთა შორის შინაგანი კავშირი მხოლოდ მის შემდგენლისთვის არის მისაწვდომი და იმ მკითხველისთვის, რომელსაც შეუძლია ამ შინაგანი კავშირების ამოცნობა სხვა სიტყვებით, თუ ცივილიზაციაზეა ლაპარაკი, მისი სულის შეგრძნება. „ძველი ეგვიპტის ენციკლოპედიის“ ყოველი სტატია, მასში წარმოდგენილი ყოველი კონცეფტი, თუნდაც უბრალო ყოფითი რეალია, რაღაც კუთხით წარმოაჩენს ძველი ეგვიპტის სახეს და ერთობლიობაში ისინი მის ბუნებას, მის არსს გამოხატავენ. ეს ერთობლიობაა სწორედ ცივილიზაცია, ნივთიერი და სულიერი კულტურის ერთიანობა, უფრო მეტიც: ნივთიერში სულიერის და, პირუკუ, სულიერში ნივთიერის ანარეკლი. ეს კი ნიშნავს, რომ ძველი კულტურა ზოგადად, არა მხოლოდ ეგვიპტური, თუმცა უპირატესად იგი, სიმბოლურია თავისი არსით. სიმბოლო რაღაცაზე მიაწინებს, რომელიც გამოუცნობია და იმალება სიმბოლოს უკან, მის საფარველში. მაგალითისთვის, თვალში საცემია ეგვიპტურ ხელოვნებაში ცხოველების გამოსახულებათა სიმრავლე. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ცხოველები: ხარი, ლომი, ანტილოპა, ხვლიკი, თევზი, ნიანგი, მაიმუნი, გომბემო, იბისი, შევარდენი,

გველი... – თითოეულ მათგანს და სხვებსაც „ენციკლოპედიაში“ მეტ-ნაკლებად ვრცელი სტატიები ეძღვნებათ – ეგვიპტელთა ღმერთების მხოლოდ ნიღბებს წარმოადგენენ და მათ თავისთავადი მნიშვნელობა არა აქვთ, რომ ისინი კულტის ობიექტებად, თავყანისცემის საგნად მივიჩნიოთ. ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ მხოლოდ, რომ შევარდენი ხორის ნიღაბი და, იმავდროულად, მისი სიმბოლოა (ან მხოლოდ ემბლემა); ლომი, რომლის სახით 65 ღვთაება წარმოუდგებათ ეგვიპტელებს და სფინქსიც, როგორც „ენციკლოპედიაში“ ვკითხულობთ, „ფარაონის პორტრეტია ლომის სახით“; მაგრამ ჩვენთვის და სწავლულთათვისაც კი უცნობია, რა იმალება ამ გაიგივების უკან. ლომის, როგორც ჩვენ ვამბობთ, ნადირთა მეფის, სიძლიერე? ან რატომ იყო დაკავშირებული პავიანის სახეობის მაიმუნი მაინც და მაინც მზესთან? მოტივაცია იდუმალია, სად ძვეს იგი, გაურკვეველია. ჩანს, კითხვა „რატომ“ აქ უადგილოა. ამიტომაც „ენციკლოპედიის“ ავტორი საგანთა ფენომენოლოგიით იფარგლება და მკითხველიც მეტს არ უნდა მოითხოვდეს. დანარჩენი, რაც ფენომენტა უკან არის, მხოლოდ უსარგებლო და არაფრისმთქმელი ჰიპოთეზების საგანი შეიძლება იყოს. ცხოველსახიანი ეგვიპტური ღმერთების შემყურე, ქედმაღლურად მომღიმარე ელინისთვის შეეძლო ვთქვა ეგვიპტელ ქურუმს ან, უბრალოდ, რიგით „ინტელექტუალს“; თქვენ, ბერძნები ბავშვები ხართო... ბავშვები, რომლებიც თითქოს მხოლოდ ზედაპირს ხედავენ და სიღრმეში არ იხედებიან. ბერძენისთვის, როგორც ასეთი ბავშვისთვის, ბოლომდე ჩაუწვდომელი გახდა არა მხოლოდ ეგვიპტური რელიგია, არამედ ალბათ ყოფაც და მთლიანად კულტურა. რა იყო საერთო თუნდაც (რელიგიაზე რომ არაფერი ვთქვათ) ბერძნულ პოლისებსა და ეგვიპტურ ნომებს შორის, რომ ბერძენი მათი შიდაცხოვრებით და პოლიტიკით დაინტერესებულიყო? ერთადერთი, რაც შეეძლოთ ბერძნებს, ეს იყო საკუთარი კულტურის თვალთვლით ეგვიპტური კულტურის ჭვრეტა და წარმოსახვა, როგორც ყოველთვის უცხო კულტურასთან შეხვედრისას იქცეოდნენ. ამ მიზეზით შეერთდა ბერძნებისგან თოტს, სიბრძნისა და დამწერლობის ღვთაებას, მის ანალოგად მიჩნეული ღვთაების ჰერმესის სახელი, მის საკულტო ქალაქებს კი – ჰერმოპოლისი. „ენციკლოპედია“; ხშირ შემთხვევაში, ელინიზებულ სახელწოდებებს (სკარაბეოსი, ეგვ. ხეპრი; ჰელიოპოლისი, „მზის ქალაქი“; ეგვ. იუნუ; თებე, ამონის ქალაქი, ეგვ. უასეტ და სხვა) და ტერმინოლოგიას (ენეადა, „ღმერთების ცხრეული“; ოგდოადა, „ღმერთების რვეული“; კენოტაფი, ცრუ სამარხი“ და სხვა) იყენებს, რომ არაფერი ვთქვათ ეგვიპტურ სახელთა ელინიზებულ ფორმებზე (ოსირისი, ისისი, ნეფტისი, რამსესი, ფარაონი და სხვა). თუ რელიგია და რწმენა-წარმოდგენები, როგორც ბრიტანელი ისტორი-

კოსი და კულტურის მკვლევარი ქრისტოფერ დოსონი (Dawson) ამბობს, ისტორიის გასაღებია და რომ ურელიგიო საზგადოება უსულო სხეულს დაემსგავსებოდა, ეს, პირველყოვლისა, ეგვიპტეზე თქმის. რელიგია მსჭვალავს და განსაზღვრავს მთელ ეგვიპტურ ყოფას ყოველდღიურობიდან და პირამიდების მშენებლობიდან დაწყებული ფარაონის კურთხევამდე. საკმაოდ ვრცელი სტატიები ეძღვნება ფარაონებს და ფარაონის სტატუსს, მის რეგალიებს (ფარაონი, ეხნატონი, თერთმეტი რამსესი, ოთხი თოტმესი და სხვანი, ფარაონის ტიტულატურა, გვირგვინები) და ვრწმუნდებით, რომ ფარაონი მონუმენტური რელიგიური ფიგურაა, რომ მასშია დაუნჯებული ეგვიპტური რელიგიის მთელი სისტემა. თუ არა მხოლოდ ვიცით, არამედ შეგვიძლია ვიგრძნოთ ეგვიპტური რელიგიის სული, ფარაონის მეფური პიროვნების განცდაც შეგვეძლება. რელიგიურია არა მხოლოდ ფარაონის პიროვნება, რომელიც სიკვდილის შემდეგ ოსირისს, როგორც ფარაონობის ღვთიურ საწყისს, შეერწყმის, არამედ თავად მოძღვრება ადამიანის შესახებ ანუ ანთროპოლოგია, მსგავსად ინდუისტური და ბუდისტური მოძღვრებებისა, რელიგიურია თავისი არსით, რაც მას შუამდინარული ანთროპოლოგიისგან რადიკალურად განასხვავებს. ეგვიპტელთა რწმენით, როგორც „ენციკლოპედია“ გვაუწყებს, ღვთიური ელემენტი მყოფობს არა მხოლოდ ადამიანში, არამედ ყოველ ცხოველში და ყოველ მწერში. აქ ვკითხულობთ: „ახალი სამეფოდან გარდაცვლილთა კულტის დემოკრატიზაციის შედეგად ღმერთად (ოსირისად) რიგითი ეგვიპტელებიც გარდაისახებოდნენ“ (გვ. 94). ეგვიპტური ანთროპოლოგიის თანახმად, ადამიანის აგებულება რთულია, ექვსამდე ელემენტის სინთეზია, რომლებიც სიკვდილის შემდეგ ერთმანეთს გაეყრებიან, რათა კვლავ შეერთდნენ, რადგან ეგვიპტელებს სწამთ სულის უკვდავება. „ენციკლოპედიაში“ რამდენიმე მათგანს ცალკე სტატიები ეძღვნება. ესენია: ახი (ახუ), ბა, კა, რომელთა შორის განსხვავება რთული გადმოსაცემია თანამედროვე ენებზე მათი შესატყვისი სიტყვა-ცნებების არარსებობის გამო. როგორც „ენციკლოპედიაში“ ჩანს, ისინი სულის სხვადასხვა „სახეობებია“, რომლებიც სიკვდილის შემდეგ თავ-თავიანთ ინდივიდუალობას ინარჩუნებენ. თუ ახი (ახუ) და ბა, ფრინველების სახით არიან წარმოდგენილნი (გვ. 63, 66,67), რაც შეესაბამება ჩვენს (თუნდაც მეტაფორულ) წარმოდგენებს ადამიანის სულზე, რაც შეეხება კა-ს, მისი იეროგლიფი – ზეაპრობილი ხელები – სქემატურად გამოხატავს ქრისტიანობისთვის ნაცნობ ორანტას (oranta, მლოცველის) პოზას, რაც ადამიანის ამ ელემენტის თუ ფუნქციაზე არა, ბუნებაზე მაინც ხატოვნად მიგვანიშნებს (გვ. 175).

არცთუ ვრცელ სტატიაში „ლიტერატურა“ ნათქვამია ის არსებითი, რაც შესაძლოა ქმნიდეს ეგვიპტური ლიტერატურის თავისებურებას. თუმცა ვერ დავეთანხმებით ავტორს, რომ მხოლოდ ეგვიპტეში შეიქმნა მხატვრული ნაწარმოები, რომელსაც არ ჰქონია საკულტო დანიშნულება, ანუ თხზულება, რომელსაც თვითკმარი ღირებულება აქვს, როგორც ჩვენს დროშია. შესაძლოა, ეგვიპტურ ლიტერატურას ამ მხრივ უფრო ფართო მასშტაბი აქვს, მაგრამ ამ ნიშანს არ არის მოკლებული მისი თანადროული აღმოსავლური სიტყვიერება. შუმერულ და აშურულ-ბაბილონურ ეპოსებზე („გილგამეშიანი“, ერას ეპოსი) რომ არ ვილაპარაკოთ, ხეთური და ხურიტული ტექსტები შეიცავს, გასართობს ლიტერატურას, არისტოტელეს ტერმინს თუ გამოვიყენებთ, დიაგოგეს. ხეთურ ენაზე შემორჩენილია გილგამეშის ეპოსის ორიგინალური (არა თარგმილი) ვერსია და მითები, ხურიტულზე – იგავები, რომელთაც რაიმე კავშირი რელიგიურ კულტთან ან რიტუალთან არ ეძებნებათ. თუმცა დავეთანხმებით ავტორს, რომ ეგვიპტური მწერლობას „გააჩნია ყველა თავისება, რომელიც ითვლება კრიტიკრიუმად მხატვრული ლიტერატურისათვის თანამედროვე გაგებით“. მართლაც აქ გაჩნდა პირველად ავტორობის ცნება და რეფლექსია ენასთან მიმართებაში. პროფესიონალი მწერალი ჩანს ფრაზაში, რომელსაც იმორწმებს ავტორი: „ღმერთო, მომეცი სიტყვა, რომელიც არ უთქვამთ ადრე. ხშირი ხმარებით სიტყვა ცვდება და შენ არა ხარ საქები, თუ ვერ იტყვი ისე, როგორც აქამდე არავის უთქვამს“ (გვ. 208). მარტო ის რად ღირს, რომ ეგვიპტურ ენაზე დადასტურებულია ჯადოსნური ზღაპრის პირველი ნიმუში („ორი ძმის ზღაპარი“). სასურველი იყო, ცალკე სტატია მიძღვნოდა ზღაპარს ისევე, როგორც ავტობიოგრაფიულ ჟანრს ეძღვნება (გვ. 17-18), რომლის ბადალი მართლაც არ მოიპოვება ეგვიპტის თანადროულ აღმოსავლურ მწერლობაში.

ცალკე სტატია ეძღვნება „პესიმიზმს“, რომლის მიზეზი, როგორც ავტორი შენიშნავს, ის კატაკლიზმებია, რომლებიც ეგვიპტის ხალხმა ძველი სამეფოს დაშლისას განიცადა, განსხვავებით შუამდინარეთისგან, რომლის პირქუში, უიმედო განწყობილება თითქოს ამ ცივილიზაციის ბუნებაში ძევს. ეგვიპტურმა პესიმიზმმა შექმნა ისეთი მარგალიტები მსოფლიო პოეზიისა, როგორიც არის: „იპუვერის გოდება“, „არფისტის სიმღერა“, „თვითმკვლელის საუბარი თავის ბასთან“. სასურველი იყო, თითოეულ მათგანს ცალკე სტატია მიძღვნოდა. მხატვრული ლიტერატურისგან განსხვავებით, „ენციკლოპედია“ იძლევა ცალკე სტატიებს საკულტო-რელიგიური ხასიათის ლიტერატურულ ძეგლებზე. მკითხველი საკმაოდეტალურობით ეცნობა ე. წ. მიცვალებულთა კულტის ძეგლებს, ესენია: „ამდუატი“ ანუ „მიწისქვეშეთის

საიდუმლო პალატის წიგნი,“ სადაც „ასახულია ეგვიპტელების სწრაფვა მარადიულობისაკენ, რომლის მღწევა მათ მუდმივი განახლების გზით ჰქონდათ წარმოდგენილი“ (გვ. 28), „მკვდართა წიგნი“, რომელსაც „ენციკლოპედიის“ სამ-ნახევარი გვერდი ეძღვნება და, სხვათა შორის, გვიჩვენებს ადამიანის შემადგენელი ნაწილების კა-ს, ბა-სა და ახ-ის ბედზე საიქიოში, „ორი გზის წიგნი“, სადაც სხვათა შორის ვკითხულობთ აღმავრთოვანებელ ფრაზებს, რომელიც ჩვენს თანამედროვეობას ეხმიანება: მზის ღმერთი რა ამბობს: „მე შევქმენი ადამიანები ისე, რომ ყველა თანასწორი ყოფილიყო; მე არ მიბრძანებია მათთვის, ჩაედინათ ბოროტება...“ (გვ. 318), „სუნთქვის წიგნი“, სადაც ვეცნობით ეგვიპტური ანთროპოლოგიისთვის ნიშანდობლივ გარდაცვლილის გაღმერთების, ოსირისად ქცევის დოქტრინას (გვ. 441), „ჭიშკრის წიგნი“, რომელიც მოგვითხრობს რასთან ერთად მიცვალებულთა მოგზაურობაზე ქვესკნელში, კერძოდ, ჭიშკრების გადალახვაზე. ეს წიგნები ილუსტრირებულია, რაც აძლიერებს მათი შინაარსის აღქმას და, იმავედროულად, მოწმობს ეგვიპტელთა სიყვარულს ფერწერისადმი.

„ენციკლოპედიაში“ მრავლად ვპოვებთ სტატიებს, რომლებიც თავიანთ ერთობლიობაში წარმოგვიდგენენ ეგვიპტური, რიგორც სხვანაირად უწოდებენ, ფარაონული ცივილიზაციის სახეს. ესენია, პირველ რიგში, ქალაქები, ტაძრები, ღმერთები, ფარაონები და ქურუმები, მეცნიერებისა და ცოდნის დარგები (მათემატიკა, მედიცინა, ასტრონომია, მაგია, კალენდარი, დამწერლობა...), საზოგადებრივი, სახელმწიფო და კულტურის ინსტიტუტები (ჯარი, პოლიცია, სკოლა, ბიბლიოთეკა...), რელიგიური რიტუალები (განწმენდის, მეფედ კურთხევის, დაკრძალვის, პირის გაღების, აჯობებდა „გახსნის“, საფუძვლის ჩაყრის...), ეგვიპტის ისტორიისა და კულტურის პერიოდები (ადრედინასტიური, გარდამავალი, საისური ახალი სამეფო, შუა სამეფო, ჰიქსოსები, ნაქადას ხანა, სპარსული სტატიაში „სპარსელები...“); ცალკე სტატია ეძღვნება კოპტურ ენას, როგორც „ეგვიპტური ენის განვითარების ბოლო საფეხურს“, მაგრამ რატომღაც არ ჩანს სტატია „ეგვიპტური ენა“ (სამაგიეროდ საკმაოდ შინაარსიანი და ინფორმაციულად მდიდარია სტატია „დამწერლობა“). ცივილიზაცია, მოგეხსენებათ, მოიცავს ყოფისა და სულიერ-მატერიალური ფასეულობების ერთობლიობას და, ამდენად, ნიუანსურად ამოუწურავია, რასაც ვერ გასწვდებოდა „ენციკლოპედიის“ ერთი ტომი, მაგრამ მასში წარმოდგენილია ის მთავარი, რაც ქმნის ამ კულტურის უნიკალობას. და მაინც, მკითხველი მოისაკლისებს ისეთს სტატიებს, რომლებიც ეგვიპტის ასევე უნიკალურ ხელოვნებას გვაზიარებდა. „ენციკლოპედიას“ უთუოდ შესძენდა ფასს ან ერთი განმაზოგადებელი სტატია ხელოვნებაზე,

ან ცალ-ცალკე სტატიები ქანდაკებაზე, ფერწერაზე, ხუროთმოძღვრებაზე. ასევე არ აწყენდა განმაზოგადებელი სტატია „ეგვიპტური ანთროპოლოგია“ და „რელიგია“, სადაც მკითხველი ამ ორი სფეროს – ადამიანთა და ღმერთთა ბუნების ზოგად პრინციპებს ამოიკითხავდა. იმედია, „ენციკლოპედია“ მეორედაც იხილავს დღის სინათლეს და, ვფიქრობ, ეს ხარვეზიც შეივსება.

ზურაბ კიკნაძე

**კალისტრატე ცინცაძე. ქადაგებები და სიტყვები. გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და გამოკვლევა დაურთო ნუგზარ პაპუაშვილმა, რედაქტორი ზურაბ კიკნაძე, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2014, 303 გვ.**

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე ცინცაძე (1866-1952) ჩვენს საზოგადოებაში კარგადაა ცნობილი, როგორც მაღალი ინტელექტისა და ფართო ერუდიციის მღვდელმთავარი. იგი თანაბარი წარმატებით იღვწოდა როგორც საეკლესიო, ასევე საერო ასპარეზზე განათლების, კულტურისა და მეცნიერების სფეროებში. მისი სახელის დაჩრდილვა და დავიწყება საბჭოთა ტოტალიტალურმა რეჟიმმაც კი ვერ მოახერხა. კომუნისტური მმართველობის ბოლო წლებში იშვიათად, მაგრამ მაინც გვეძლეოდა შესაძლებლობა სასულიერო და, ზოგჯერ, სამოქალაქო პრესის ფურცლებზეც გავცნობოდით მის ნაწერებს. ეს დიდწილად ნუგზარ პაპუაშვილის მეცადინეობით ხდებოდა, რომელიც იმხანად საქართველოს საპატრიარქოსა და ხელნაწერთა ინსტიტუტში მუშაობდა. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. ამ ხნის განმავლობაში კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატეს სამეცნიერო შრომებისა და მემუარების დიდი ნაწილი გამოქვეყნდა, მაგრამ მაინც გვრჩებოდა უკმარობის გრძნობა, რადგან ამ დიდი სასულიერო პირის სიტყვები და ქადაგებები ერთად თავმოყრილი, კრებული სახით, არ არსებობდა. ამის გამო არ ხერხდებოდა, მისი, როგორც სულიერი მამისა და მოძღვრის, სახის სრულყოფილად აღქმა და გააზრება. სასიამოვნოა, რომ ჩვენს საეკლესიო, კულტურულ და სამეცნიერო ცხოვრებაში ამ შესამჩნევი ხარვეზის ამოვსება იტვირთა ხსენებულმა მკვლევარმა, ხელნაწერთმცოდნემ და ეკლესიის ისტორიკოსმა ნუგზარ პაპუაშვილმა. მან თავი მოუყარა მასალას, აღჭურვა ის სათანადო შენიშვნებითა და კომენტარებით და მკითხველთა ფართო წრეს სოლიდური გამოცემა შესთავაზა.

წიგნის გამომცემელი ორგანიზაციებია: კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი და სულხან-საბა